ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-119

2010 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის რაიონის გამგეობის 2005 წლის 13 ივლისის №-69 დადგენილების, ქობულეთის რაიონის გამგეობის 2006 წლის 26 იანვრის №-8 დადგენილების, ქობულეთის რაიონის გამგეობის 2006 წლის 29 მაისის №-33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის რაიონის გამგეობის 2005 წლის 13 ივლისის №-69 დადგენილება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიის 2005 წლის 8 ივლისის ოქმი №-18 დამტკიცების შესახებ“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის რაიონის გამგეობის 2006 წლის 26 იანვრის №-8 დადგენილება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის 2006 წლის 25 იანვრის №-2 ოქმისა და დაბა ჩაქვში თამარ მეფის ქუჩაზე, სასულიერო გიმნაზიასა და ჩაის სახლს შორის მდებარე მიწის ნაკვეთის გასხვისების საკონკურსო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის რაიონის გამგეობის 2006 წლის 29 მაისის №-33 დადგენილება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის 2006 წლის 16 მაისის №-12 ოქმის დამტკიცების შესახებ“.

4. ეთხოვოს საქართველოს ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურს (გ. ჭიპაშვილი) გააუქმოს შესაბამისი საჯარო რეესტრის ჩანაწერები.

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**